# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 88 ხუთშაბათი, 30 იანვარი 1903 წ. გაზეთის № 2055.


## ს ი მ ა რ თ ლ ე

უკანასკნელი რომანი

**ზ ო ლ ა ს ი**

(შემდეგი)

სავინის ცოლი გაწითლდა და თვალები მორცხვად ძირს დაუშვა. ეს სარწმუნოებრივი საკითხი კარგა ხანს მათის შინაურის უთანხმოების მიზეზი იყო. ქალი გაურბოდა მას მთელის თავის ნაზი არსებით და კეთილისა და მართალის გულით. ეჭვით გადარეული ქმარი სულ იმაზე ეჩხუბებოდა ცოლს, რო ფიქრი წმინდა არა გაქვსო, და ეკლესიაშიც იმიტომ უნდოდა ევლო, რომ ახსარებასა და ზიარებაში იგი ჰხედავდა ერთგვარ პოლიციას, რომელსაც ვითომ შეეძლო სწორე გზაზე დაეყენებინა იმისი ცოლი და თვალ-ყური ედევნა, რომ ქმრისთვის არ ეღალატნა. მეტი ჯანი არ იყო, ცოლმა დასთმო და თავის მოძღვრად, ქმრის რჩევით მამა თეოდოზი დაიყენა, რომელიც გულში ქალს გარყვნილ კაცად მიაჩნდა. ამიტომ გაწითლდა ეხლა სავინის ცოლი და რომ სახის მშვიდობიანობა არ დაერღვია, ჩვეულებისამებრ, მარტო მხრები აიწია და მორჩილებით თავი ჩაღუნა.

— რაც კი ჩემ შვილებს შეეხება,—განაგრძო სავინმა,— შეძლება ნებას არ მაძლევდა ჩემი ტყუპები, ახილი და ფილიპე, გიმნაზიაში მიმებარებინა. ამიტომ, როგორც მოხელე და მასთან რესპუბლიკანელი, ცხადია საერო სკოლაში უნდა მიმეცა; აგრეთვე ჩემი ქალიც, ჰორტენსი, რუზერის ქალთან დადის და სწორედ გითხრათ, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ეს ქალი სარწმუნოებას მისდევს და შევირდებიც ეკლესიაში დაჰყავს. ეს მოვალეობად უნდა ჩაეთვალოს იმას; ასე რომ არ იქცეოდეს, ძალიან საწყენად დამრჩებოდა. ვაჟები როგორც იქნება თავს გაიტანენ. მე რომ მოვალე არ ვიყო უფროსებს ჩემის მოქმედების ანგარიში მივცე, უფრო ჭკუას ვიხმარდი შვილები მღვდლების სკოლაში მიმეცა, აქ ბოლოს მხარის დამჭერი და სამსახურში წამწევი ეყოლებოდათ იმათ, ეხლა კი ჩემსავით ერთ ალაგზე დაკრულნი დარჩებიან.

სავინს თავის გულის ტკივილი აეშალა და ისე დაიმდაბლა ხმა, თითქო შეეშინდა, არავინ გამიგონოსო.

— ხომ ჰხედავთ, ეს მღვდლები რა მძლავრნი არიან! მოდი და იმათ ნუ მიემხრობი.

ეს საწყალი და სუსტი არსება, რომელიც თავის ხელ-მოკლეობასა და სისულელეზე გაბრაზებული კანკალით ლაპარაკობდა, ამ დროს შესაბრალისი იყო. მარკოზი წამოდგა, რომ ბოლო მოეღო იმის ლაპარაკისათვის.

— მაშ რას მიბძანებთ, ბატონო, იმ ცნობის შესახებ, რომელიც თქვენ ბავშვებისათვის მინდოდა მეკითხნა?

— ბავშვები აქ არ არიან; ერთმა ჩვენმა მეზობელმა ქალმა სასეირნოდ წაიყვანა. მაგრამ შინაც რომ იყვნენ, თქვენ თვითონ განსაჯეთ, განა ნება უნდა მიმეცა, რომ რამე ეთქვათ თქვენთვის? არავითარ შემთხვევაში მოხელეს არ შეუძლიან ეგ იკისროს. ისედაც ბევრი უსიამოვნება მაქვს სამსახურში, რაღა საჭიროა ზედ დაუმატო ამ ჭუჭყიან საქმის ამბავი!

მარკოზი ეჩქარებოდა მალე გამომშვიდებოდა; სავინი მაინც განაგრძობდა:

— თუმცა, მართალია, ურიები სჭამენ ჩვენ საწყალ საფრანგეთს, მაგრამ სიმონის წინააღმდეგ არა მეთქმის რა იმის მეტი, რომ საზოგადოდ ურიას მასწავლებლობა უნდა აეკრძალებოდეს: იმედი მაქვს, რომ „პატარა ბომონტის“ გაზეთი ამ საკითხს მალე წამოაყენებს. თავისუფლება და სამართალი ყველასთვის,—ასეთი უნდა იყოს ნამდვილ რესპუბლიკანელის აზრი და სურვილი; მაგრამ უწინარეს ყოვლისა სამშობლო! ასე არ არის? მარტო სამშობლო, როდესაც იგი განსაცდელშია!

სავინის ცოლმა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ დაუძრავს, შეჭუხებულის სახითა და მორჩილებით, რომელშიც გამოიხატებოდა დამონავებულ ქალის გრძნობა, მარკოზი კარებამდის მიაცილა და ის მოახერხა, რომ ციურის ღიმილით გამოემშვიდობა.

ჯერ ქუჩაში არ გამოსულიყო, რომ დაბლა კიბეზე მარკოზი შეჰხვდა ბავშვებს, რომელნიც მეზობელ ქალს მოჰყავანდა. ცხრა წლის ჰარტენსი ლამაზი და მოხდენილი ქალი იყო. ძირს დაშვებული თვალები ჰქონდა, რომელთა ცულლუტობას ხელოვნურად ჰმალავდა რუზერის ქალისაგან გადმოღებულ თვალთ-მაქცობით. მაგრამ მარკოზს უფრო ეს ტყუპები აინტერესებდნენ, ახილი და ფილეპე, გამხდრები და უფერო ბიჭები, თავიანთ მამასავით ავადმყოფის შეხედულობისანი, რომელთაც მეშვიდე წელში უკვე აჩნდებოდათ უკმეხური ყოფაქცევა და გულჩახურულობა. თავიანთი და ისე მიაგდეს კიბის მოაჯირზე, რომ კინალამ იქით გადააგდეს. როდესაც ზევით ავიდნენ და მაღლა ოთახის კარი გაიღო, ზევიდან ჩამოისმა ძუძუ მწოვარა ბავშვის ჭყივილი. პატარა ლეონს გამოჰღვიძებოდა, იგი დედას უკვე ხელში ეჭირა და ძუძუს აძლევდა.

მარკოზმა გვიანობამდის ვერ შეამჩნია, რომ ფიქრებში გართული ქუჩაში თავის თავს ხმა მაღლა ელაპარაკებოდა. იმის თვალ-წინ სრული სურათი დაიხატა, როდესაც უმეცარ სოფლელიდან დაწყებული მივიდა მთავრობის მხდალ და გამოსულელებულ მოხელემდის და როდესაც გავლით ამათ შუა ჰნახა კიდევ გამოჩერჩეტებული მუშა, ყაზარმულ ცხოვრებისა და დღიურ მუშაობის ფუჭი ნაყოფი. მართალია, თითო საფეხუ-



უგანათლ. თავ. სამეგრელოსი.
(გარდაიცვალა 24 იანვარს)

რით მაღლა ადიოდა, მაგრამ რაც უფრო მაღლა მიდიოდა, მით ცხოვრების შეუგნობლობა უფრო და უფრო სამძიმო სურათს წარმოადგენდა ეგოისტურ მიმართულებითა და სულმდაბალ ლაჩრულ ხასიათით. ერთი და იგივე სიბნელე ყველას გონებას სქლად გადაჰფარებოდა და ნახევრად სწავლა-განათლება, უმეტოდოდ მიღებული, მოკლებული საფუძვლიან სამეკრულს. სწუხდა და ამ წუხილს უორკეცებდა ის აზრი, რომ შეიძლებოდა ერთ მშვენიერ დღეს ამ ხალხის დახმარება დასჭირებოდათ რამე დიდ სიმართლის და უფლების აღსადგენად. მაშინ რა უნდა ექმნათ? ადამიანთა რა საშინელი სილატაკე აღმოჩნდებოდა! მერე ეს ხალხი ხომ საფრანგეთი იყო? შეიძლება, ამათში ბევრი ყოჩაღიც ურევია, მაგრამ უმრავლე-





ქართველ კათოლიკეთა ახალი ეკკლესია ბათომში.

ცნიერო ნიადაგს, გონებას, თითქო მხოლოდ სწამლავდა და ჰრყვნიდა იმ ზომამდის, რომ საზოგადო მდგომარეობა უნუგეშო ხდებოდა. სწავლა-განათლება, დიაღ, კარგია, მაგრამ საჭიროა სრული სწავლა-განათლება, თვალთ-მაქცობისაგან და სობას ხომ ის ბრბო შეადგენდა, რომელიც სასწორს ყოველთვის თავისკენა ჰსძლევს, რომელსაც მთელი ერი მიწაზე დაკრული უჭირავს და რომელსაც არც შნო აქვს უკეთესის ცხოვრებისა, არც თავისუფლების უნარი, არც შეგნება სიმართლი-





ქართველ კათოლიკეთა ახალი ეკკლესია ბათომში.

სიყალბისაგან თავისუფალი; სწავლა, რომელიც ადამიანს ხსნას აძლევს და სიმართლესა ჰქმნის!

მარკოზი შიშის კანკალმა აიტანა, როდესაც დაინახა, რომ იმ ვიწრო ნიადაგზედაც კი, იმ მხურვალე გულით ნაკისრ მოვალეობაში—ამხანაგის შველის საქმეში,—იგი წააწყდა ღრმად გათხრილს უმეცრებისა, შეუგნობლობისა და სიავის უბსსა და ბედნიერებისა, რადგან იგი უმეცარია და გონებაც მოწამლული აქვს.

როდესაც მარკოზი ნელის ნაბიჯით მიდიოდა სკოლისაკენ, რომ სიმონისთვის მგზავრობის უნუგეშო ამბავი მიეტანა, მოაგონდა, რომ ჯერ არ ენახა მილ..ჰომის ქალები, რომელთაც იქვე მოკლე ქუჩაში, ქალალდის მაღაზია ჰქონდათ. თუმცა

იმათგან ბევრს არას მოელოდდა, მაგრამ მაინც უნდოდა ნაკისრი მოვალეობა სავსებით დაესრულებინა.

მილჰომის ქალები ქვრივები იყვნენ ორის ღვიძლის ძმისა— ედუარდისა და ალექსანდრე მილჰომებისა. უფროსი ედუარდი მშვიდის ხასიათის კაცი იყო; ავად თუ კარგად, სცხოვრობდა ცოლთან ერთად იმ პატარა ქაღალდის მაღაზიის შემოსავლით, რომელიც ბიძამ უანდერძა. უმცროსი ძმა ალექსანდრე, წინაალმდეგ, თავმოყვარე და მეტად დაუდგრომელის ხასიათისა, მოვაჭრე აგენტად იყო და საცაა დიდი ქონებაც უნდა შეეძინა; მაგრამ მოულოდნელად ორსავე ძმას სიკვდილის ქარმა დაჰბერა. ერთ დღეს უფროსი ძმა რაღაც უბედურ შემთხვევისა გამო სარდაფში ჩავარდა და მოკვდა; ამის შემდეგ ექვსმა თვემ არ განვლო, რომ უმცროსი ძმა სადღაც, საფრანგეთის მეორე პირას გულის სიგანიერისაგან უეცრად გარდაიცვალა. დარჩნენ ეს დაქვრივებული ქალები; ერთი თავის პატარა ქაღალდის მაღაზიით და მეორე ოციოდე ათასის ფრანკით. ედუარდის ცოლი, უფრო გამბედავი და მოხერხებული, შეუჩნდა



მიწის ძვრა ანდიჟანში.

რძალს და დაიყოლია, თავისი ოცი ათასი ფრანკი ქაღალდის ვაჭრობაში ჩაედო, რომ ვაჭრობა გაეფართოებინათ და ქაღალდის გარდა სასწავლო წიგნები და სასკოლო ნივთებიც ეყიდნათ. ამ დღიდან მილჰომის ქალები, ედუარდის ქვრივი პატარა შვილით ვიქტორითა და ალექსანდრეს ქვრივი პატარა სებასტიონით ერთის ინტერესით შეკავშირებულნი სცხოვრობდნენ, ერთს ოჯახს შეადგენდნენ, თუმცა ხასიათით დიდად განსხვავდებოდნენ.

ედუარდის ცოლი სარწმუნოების მიმდევარი იყო, იმიტომ კი არა, რომ დიდი რწმენა და ღვთის შიში ჰქონებოდა, არამედ იმიტომ, რომ უწინარეს ყოვლისა ამას მოითხოვდა ინტერესი; ერთი ნაწილი მუშტრისა სარწმუნოების მიმდევარი იყო და იმის მომდურება არ შეიძლებოდა. ალექსანდრეს ქვრივი, წინააღმდეგ, მხიარული, ქეიფის მოყვარე და ატეისტი იყო; რაკი თავისუფლება იგრძნო, ეკლესიაში ფეხი აღარ შესდგა. ედუარდის ქვრივმა დიპლომატიურის გამჭრიახობით ისარგებლა ამ ხასიათების განსხვავებითაც კი. ქვრივებმა გადასწყვიტეს, რომ თვითეული თავისებურად მოიქცეოდა და გაირჯებოდა; ერთს მღვდლებთან ექნებოდა საქმე, მეორეს თავისუფალ მოაზრებთან; ამ ნაირად მუშტრებიც, ორივე მხარე, გულმოგებულნი დარჩებოდნენ, და რომ ეს თვითეულის მიმართულება ყველასათვის დაუმალავი ყოფილიყო, სებასტიანი ურია სიმონის საერო სკოლაში მიაბარეს, ვიქტორი კი წმ. ძმების სკოლაში. საბედნიეროდ, მაღაზიაც ორ სკოლას შუა იყო, — ერთის მხრივ წმ. ძმების სკოლა იყო, ხოლო მეორეს — საერო სკოლა; რაც ორსავე სკოლას სჭირდებოდა წიგნები, სურათები, ხატები, რვეულები, კალმები და ფანქრები, სულ აქედან ეზიდებოდნენ. ამ ნაირის ჭკუითა და მოხერხებით დაყენებული საქმე ისე მშვენივრად წაიმართა, რომ მთელ მელბუაში ამათზე მეტი მუშტარი არავისა ჰყავდა.

მარკოზი შეჩერდა მოკლე ქუჩაზე, სადაც ორის შენობის მეტი არ იყო, ერთი ეს ქაღალდის მაღაზია, მეორეც მოძღვარის სადგური, და პატარა ხანს თვალიერება დაუწყო შუშაბანდში გამოკიდულ წმინდანების ხატებს, რომელიც ისე აერიათ სასკოლო სურათებში, თითქო რესპუბლიკის გამოჯავრება უნდათო. მაღაზიაში შესავალი კარებიც მთლად დაეჭირათ ბაწრებზე ჩამოკიდულ ჟურნალ-გაზეთებს. ის იყო მარკოზმა



მიწის ძვრა ანდიჟანში.

დააპირა შესვლა, რომ კარებში გამოჩნდა ალექსანდრეს ქვრივი, მაღალი, ქერა, კეთილის სახის ქალი, ოცდა ათ წელს მიტანებული, სახე ცოტა მიმჭკნარი, მაგრამ მაინც ღიმილით განათებული. შვიდის წლის ბავშვი, შვილი სებასტიანი, დედასავით ქერა და კეთილის გამომეტყველებისა, დედის ნებიერი და საყვარელი კალთაზე ეკრობოდა მას და არ შორდებოდა. პატარა იყო ძალიან კარგის სახისა, ცისფერის თვალებით, სწორე წვრილი ცხვირით და ალერსიანის ტუჩებით.

ქალი მარკოზს იცნობდა და დაინახა თუ არა, მაშინვე თითონვე ჩამოუგდო ლაპარაკი იმ საშინელ მკვლელობაზე.

— ოჰ, რა საშინელება მოხდა, ბატონო ფრომან! როდესაც წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ეს მკვლელობა აქ, ჩვენზე ახლოს მოხდა! საწყალ პატარა ზეფირინს ხომ ყოველ დღე ვხედავდი სკოლაში, როცა მიდიოდა ან ბრუნდებოდა ხოლმე; ხშირად რვეულებისა და კალმების სასყიდლად აქაც შემოვიდოდა ხოლმე! მასუკან რაც იმ საცოდავი ბავშვის გვამი ვნახე, ძილი აღარა მაქვს: მე ხომ თითქმის პირველი მივედი.

მერე დიდის გულ-მტკივნეულობით სიმონზე დაიწყო ლაპარაკი, იმ უბედურებაზე, რომელიც თავს დაატყდა. სიმონი ძალიან კარგ კაცად მიაჩნდა, ძალიან პატიოსნად, რადგან ამასთან დიდის ყურადღებით ეპყრობოდა იმის შვილს სებასტიანს, რომელიც ერთ უკეთეს მოსწავლედ ითვლებოდა კლასში.



მიწის ძვრა ანდიჟანში.

— თავის დღეში ვერ დამაჯერებენ, რომ ამ საშინელ დანაშაულობას ის ჩაიდენდა! რაც იმ ქაღალდის ნიმუშს შეეხება, ამაზე თუმცა ბევრს ლაპარაკობენ და ამ ნიმუშის ქაღალდი იმისასაც ეპოვნათ, მაგრამ ეს არაფერს არ ამტკიცებს. ამნაირ მოდელებს ჩვენც ვყიდდით; მე განგებ ვეძებე მაღაზიაში იმ მოდელებს შუა, რომელთაც ეხლა ვყიდით... მართალია, არც ერთს იმათგანს არა აქვს ის ზედ წარწერა: „გიყვარდეთ ერთმანერთიო“...

ამ დროს პატარა სებასტიანმა, რომელიც აქნობამდის გულ-მოდგინედ ყურს უგდებდა, უცბად თავი მაღლა ასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვნახე, დედა, სწორედ იმ ნაირი, ჩემმა ბიძაშვილმა ვიქტორმა წმ. ძმების სკოლიდან მოიტანა; იქა ხმარობენ იმას.

დედა გაშტერებული დარჩა.

— რას ამბობ! რატომ აქამდის არა მითხარი-რა?

— რას გეტყოდი, რომ ჩემთვის არავის უკითხავს! ვიქტორმაც მითხრა, არსად არა სთქვაო, იმიტომ რომ აღკრძალულია ამ მოდელების წამოღებაო.

— მაშ, აბა სად არის?

— მე რა ვიცი, ვიქტორმა სადღაც გადამალა, რომ მინახონ გამიჯავრდებიანო.

მარკოზი გულის კანკალით, სულ-განაბული ადევნებდა თვალს: ნუ თუ ბოლოს სიმართლე ამ ბავშვის პირით უნდა გაბრწყინვებულიყო. იქნება ეს სიმართლის მხოლოდ მკრთალი შუქი იყო, რომელიც თან და თან გაიზრდებოდა და ბოლოს ბრწყინვალე სინათლედ იქცეოდა. მარკოზმა უკვე ნათლადა ჰკითხა სებასტიანს, მაგრამ ამ დროს გაჩნდა ედუარდის ქვრივიც თავის ვიქტორით. ვაჭრობის თაობაზე ყოფილიყო წმ. ძმა ფულგენსთან და ეხლა სწორედ იქიდან მოდიოდა. ედუარდის ქვრივი რძალზე უფრო მოსულის ტანისა იყო; შავგვრემანი, მამაკაცური გამომეტყველება ჰქონდა, დიდი ბრტყელი სახე, ცოცხალი მოძრავი და ბოხი ხმა. იგი ცუდი დედაკაცი არ იყო, არც უპატიოსნო, თუმცა პატიოსნობა თავისებურად ესმოდა; ოჯახში მამაკაცის ალაგი ეჭირა, და ალექსანდრეს ქვრივს, თავის რძლის ხელში რომ სათამაშო საგნად არ გამხდარიყო, ერთიღა დარჩენოდა—განუსაზღვრელ მშვიდობიანობითა და სიტკბოებით ემოქმედნა იმაზე ცხრა წლის ვიქტორი უკვე ზორბა ბიჭი იყო, შავგვრემანი, დიდთავა, განიერი პირის სახე ჰქონდა. გაიგო თუ არა რაშიაც იყო საქმე, ედუარდის ქვრივმა სასტიკად გადაჰხედა თავის შვილს.

— ეგ როგორ მოხდა? ის მოდელი შენ მოჰპარე წმ. ძმებს და შინ წამოიღე?

ვიქტორმა იგრძნო, რომ საქმე ცუდად იყო და გულ-მოსული თავის ბიძაშვილს გადაჰხედა:

— არა, დედა, მე არა!

— როგორ არა! თუ კი შენი ბიძაშვილი ამბობს: ისან ტყუილი არ იცის!

— ბავშვი გაჩუმდა და მრისხანედ ბიძაშვილს ბღვერა დაუწყო. ეს უკანასკნელიც, შეწუხებული, ცქმუტავდა, რადგან თავის ამხანაგის ღონე გამოცდილი ჰქონდა და თაყვანსაც სცემდა: როდესაც კი ომიანობას თამაშობდენ, სებასტიანი ყოველთვის დამარცხებული და დაბეჟილი მტერი იყო ხოლმე. ამას გარდა ოთახში რომ ცელქობდნენ, ხტუნაობდნენ და იქაურობას ანგრევდნენ, სებასტიანი, უფრო პატარა, ტკბილი და ნაზი ბავშვი, იძულებული იყო უნებლიედ აჰყოლოდა ბიძაშვილის ცელქობას.

— ეგ ხომ არ მოიპარავდა!—შენიშნა კეთილად ალექსანდრეს ქვრივმა,—ალბად ისე უცაბედად გამოჰყვა.

სებასტიანმაც, რათა ბიძაშვილის შენდობა მიეღო, დაუმატა:

— ცხადია ასე იქნებოდა: მე ხომ არ მითქვამს, მოდელი მოიპარა-მეთქი!

(შემდეგი იქნება)

## გ ა ტ ა ც ე ბ უ ლ ი   მ ო ტ რ ფ ი ა ლ ე



რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 29 Января 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ის